**ხელშეკრულება**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №272**

ქ. დმანისი 2020 წ.

ერთის მხრივ **დმანისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ტატუაშვილის სახით და **შ.პ.ს „თავისუფალი გაზეთი +"**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი დირექტორის **თამარ ლეფსვერიძის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

**1.1.** „ხელშეკრულება შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

**1.2.** „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

**1.3.** „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

**1.4.** „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

**1.5.** „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

**1.6.** „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

**1.7.** „ინსპექტირება" - ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

## 2. ხელშეკრულების საგანი

**2.1.** ხელშეკრულების საგანია **სააგენტოების Ipress.ge, ibusiness.ge, iregions.ge, imtavroba.ge, mpress.ge საშუალებით, შემსყიდველი ორგანიზაციის უზრუნველყოფა სრული საინფორმაციო მხარდაჭერით, ხელშეკრულების დანართის (მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მომსახურების აღწერილობა) შესაბამისად. (cpv 92400000)**

**2.2.** შემსყიდველს მომსახურება მიეწოდება ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტის ან მხარეთა მიერ შეთანხმებული სხვა საშუალების გამოყენებით.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

**3.1.** ხელშეკრულების ღირებულება **შეადგენს 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარს**.

**3.2.** თვეში მომსახურების ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს,

**3.3.** ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დღგ-ს ჩათვლით.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

**4.1.** მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს მომსახურების გაწევა **2021 წლის 04 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით არსებული პერიოდის განმავლობაში.**

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

**4.2.** შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

**4.3.** მხარეები ვალდებულნი არიან:

ა) დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ისეთი ცვლილებების შესახებ, როგორიცაა - მისამართები, საბანკო რეკვიზიტები, სამართლებრივი ფორმა, ტელეფონი და ა. შ;

ბ) არ გაახმაურონ მეორე მხარის კომერციული საიდუმლო, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა ურთიერთთანამშრომლობის შედეგად.

## 5. ხელშეკრულების ინსპექტირება

**5.1.** შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს *(დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ქეთევან მარტიაშვილი),* ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ხელშეკრულების ინსპექტირების განხორციელების დროს.

**5.2.** ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

**5.3.** შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

**5.4.** შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

**6.1.** მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

**6.2.** შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერაზე უფლებამოსილი პირია დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ქეთევან მარტიაშვილი.

## 7. ანგარიშსწორება

**7.1.** ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

**7.2.** შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

**8.1.** თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

**8.2.** იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

**9.1.** წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.7 %-ის ოდენობით.

**9.2.** წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 0.7%-ის ოდენობით.

**9.3.** წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.7%-ის ოდენობით.

**9.4.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

**9.5.** პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

**10.1.** ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

**10.2.** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 11. დავების გადაწყვეტა

**11.1.** ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

**11.2.** თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

**12.1.** შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

**12.2.** ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

**12.3.** ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრამდე.

## 14. ფორს-მაჟორი

**14.1.** წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

**14.2.** ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

**14.3.** მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

## 16. მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი:**
**დმანისის მუნიციპალიტეტი**
**მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს №41**
**საიდენტიფიკაცო კოდი: 228928391**
**სახელმწიფო ხაზინა TRSGE22**
**ერთიანი ანგარიში: GE24NB0330100200165022**
**ტელ.: 0(360) 22-11-53**

dmanisi municipality
Digitally signed by dmanisi municipality
Date: 2020.12.25 10:19:08 +04'00'

---

**მიმწოდებელი:**
**შ.პ.ს „თავისუფალი გაზეთი +“,**
**წარმოდგენილი დირექტორის**
**თამარ ლეფსვერიძის სახით,**
**მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის 119/1.**
**საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE29LB0610008036080193,**
**სს „ლიბერთი ბანკი“, კოდი: LBRTGE22,**
**სკ - 202221577**

---

**ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ**

**ქ.დმანისი** **2020 წ.**

ჩვენ, ვადასტურებთ, რომ 2020 წლის №272 ხელშეკრულებით განსაზღვრულ სახელმწიფო შესყიდვაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია

**დმანისის მუნიციპალიტეტის მერი** _____ **გიორგი ტატუაშვილი**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ---------- ქეთევან მარტიაშვილი